გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 140 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 140

წლ ური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდი გაზეთი „ივერია" ჰღირს 6 მან. 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 5 მან. და ქალაქ გარეთ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.

ვიღებ საეკლესიო **პანკელე-ბის სამხატვრო საქმეებს.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს. (15—13)

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში 3-5 დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

საცხენისის პირველ-დაწყებით სასწავლებელში (სოფელ ყვარელში) არის 45 თავის-უფალი სახელმწიფო ვაკანსია ამიერ კავკასიის თავად-აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის. მიიღებენ ბავშვებს 8—10 წლისას.

მსურველთ თხოვნები უნდა მიართვან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ აგრეთვე დაბადებისა, ჩამომავლობისა, სიღარიბისა და ექიმის მოწმობანი. (3—6—3).

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მორკელ ადმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распростр. грамотности.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდ მთავრის ოლღა თეოდორის ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში. (3—6.—3)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ვორონცოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მაღაოვისა, № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კიროჩნის ქუჩა, № 19.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მუღიანი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მოსინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტყეშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. მ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

მ. ა. გეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰოლმ ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მან. თამდე. სამკურნალო განათლებულია ელექტრით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. მ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ზ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ზ. ს.მ ლმი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა,

ქალი ექიმი **ა. ი. ზაქარიანისა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ზძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова. (წ.)

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

იაპონელები ვერ მოითმენენ, რომ პორტ-არტურზე იერიში არ მიიტანონ. იმათ ძალიან კარგად იციან, რომ დაყოვნება მტრის გაძლიერებაა, ამასთანავე ზამთარიც მოახლოვდა და მანამდე ციხე აღებული უნდა იყოს. ისინი დღე და ღამე განუწყვეტლივ და დაუღალავად შრომობენ, იმათ ყოველივე მოსაზრებული აქვთ, რა და როგორ უნდა მოხდეს. პორტ-არტური ისეთი ციხეა, რომ ყველას შეაფიქრიანებს, და სწორედ ამიტომ იაპონელებიც დიდად შეფიქრიანებული არიან. 1894 წელს იაპონელებმა იერიში მიიტანეს ამ ციხეზე და აიღეს კიდეც. ჯარი ჰყავდათ 30,000, რომელთაგან ჩინელებმა მხოლოდ 15 მოკლეს და 268 დაჭრეს. თვით ჩინელებს კი 4500 კაცი დაეღუპათ და 600-იც ტყვედ წაიყვანეს ეხლა, რასაკვირველია, საქმე შეუდარებლად გაძნელდა. მაშინდელი ჩინეთის ჯარი მცირე, უწვრთნელი და ცუდად შეარაღებული იყო. ეხლა კი ციხეს რუსები იცავენ, რომლებიც მტკიცედ დახვდებიან იაპონელებს. (რ. ვ.).

—

«ნ. ვრ. პრ.» იუწყება: ნიუჩუანიდგან მატყობინებენ, ვითომც 70,000 იაპონელი ჩრდილოეთისკენ მიდის და პორტ-არტურთან... 90,000 ჯარის კაცია დატოვებული, გვხე ... ნოძუს უფროსობით, 18 მაისს იაპონიის პორტებში 26 სატრანსპორტო გემი იყო ... ხადებული, მაგრამ, რაკი რამდენიმე გემი ფაილუპა კორეის ყურეში, დანარჩენის გაზავნა ვეღარ გაბედეს, ეს უნდა იყოს მიზეზი რომ პორტ-არტურის გარშემო ამდენს ხანს სიჩუმეა. (რ. ვ.).

—

3 მაისს ჩინჯოოვუში იაპონელებს 2,500 ქვეითი ჯარის კაცი და 2,500 მხედარი შეუგროვებიათ, დაუქირავებიათ და შეუიარაღებიათ. ყველანი ხუნხუზები არიან. უფროსად ცნობილი ხუნხუზი კინ-შონ-შანია, რომელსაც შემდეგი პირობა მისცეს იაპონელებმა: თითო ქვეითა ჯარის კაცს ეძლევა თვეში 5 ლანი და მხედარს 11 ლანი. კინ-შონ-შანი აქამომდე ტიანძ-ხანტაეში სცხოვრობდა, სადაც რუსებთან არა ერთხელ ჰქონია შეტაკება. ჩინელები არწმუნებიან, ჩინეთის მთავრობებმა კარგად იციან ამ ხუნხუზების მოგროვების ამბავი.

ტანშინში იაპონელები კიდევ ქირაობენ 2,000 ჩინელს, რომელნიც უკვე შეკრებილან. (ვოს. ვეს.).

—

ბაიკალს იქით განუწყვეტელი ქარიათურმე, რომელიც გზებს ამტვერებს. პურის ჭამაც კი არ შეიძლება უმისოდ, რომ საჭმელი მტვერით არ აივსოს, რამე ფარდულები ან კარვები მაინც იყოს იმ ადგილს, სადაც ჯარის კაცები ისვენებენ და ნაყრდებიან. (ზაბ. ობ. ვედ.).

—

ტოკიოდგან შემდეგ ცნობებს ატყობინებენ ევროპიულ გაზეთებს იაპონიის ფინანსების შესახებ:

ომის დაწყების დროსვე იაპონიამ ისესხა ამერიკასა და ინგლისში 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი და 100 იენიანი სესხის ფურცელი 93½ იენად დაუთმო, ვადა სესხის გადახდისა 1911 წელია. წელიწადში თვეზე 60°/₀ უნდა იხადოს. სესხის გამნაღდებელ შუამავლებს მისცეს ჯილდოდ 3₀°. ასე რომ ერთი მილიონი გირვანქა ერთბაშად გაწყალდა. სესხის მიმცემმა ბანკირებმა გირაოდ იაპონიის საბაჟოები აიღეს. ესეთის მძიმე პირობით სესხის აღება ხალხს გაჭირვებაში ჩააგდებს. მაგრამ მარტო ნივთიერი მხარე არ არის საყურადღებო. ამ პირობებით ერის თავმოყვარეობა შეილახა. ესეთი მძიმე პირობები, ბანკირების სიტყვით, იაპონიას ხელს შეუკრავს და საზღვარ გარედ სესხის შოვნას ვეღარ მოახერხებს, ძალიანაც რომ დასჭირდეს. ერთის სიტყვით, იაპონელები დიდხანს არ დაივიწყებენ, რა დახმარებაც აღმოუჩინეს ამერიკელ და ინგლისელ მევახშეებმა.

«ეხლანდელი გარემოება გვაიძულებს ესეთი დამამცირებელი სესხი მივიღოთ, ხოლო ამ სავანზე ომის შემდეგ ვილაპარაკებთო». სთქვა ერთმა იაპონელ დეპუტატმა.

მთავრობას ისე ეშინოდა ხალხის აღელვებისა ამ სესხის გამო, რომ საპირო განკარგულება მოახდინა კიდეც, და სესხის აღება მხოლოდ მაშინ გამოაცხადა, როდესაც ხელშეკრულობა ხელმოწერილი იყო.

პირველ ოთხ თვეს იაპონიიდგან 80 მილიონი იენი ოქრო გაუტანიათ და იაპონიის ბანკს 57 მილიონი ოქრო დააკლებია. რადგან ომისათვის ოქრო საჭირო იყო, იაპონია ძალა-უნებურად უნდა დათანხმებულიყო, რა პირობასაც-კი დაუდებდნენ ინგლისელი და ამერიკელი ბანკირები.

მთავრობის გაზეთი «იაპონიის ტაიმსი» ამბობს, ახლად ნასესხი ოქრო ეხლავე კი არ უნდა დახარჯოს ომის საქმეზედ, რამდენიმე ამით შეივსება სახელმწიფო ხაზინა.

თუ ომი გაგრძელდა, იაპონიის ერთხელვე კიდევ დასჭირდება ... ვალის აღება და ფინანსიურად ... გაჭირებაში ჩავარდება. (პ. ც.).

—

ტფილისი

*** მთავრობის განკარგულებით, გადაწყვეტილია, რომ, რაც ამიერ-კავკასიაში ესრედ-წოდებული ქსენიებია, გადაკეთებულ იქმნას საავადმყოფოებად, ხოლო 1905 წლიდან დაარსდეს ყველგან საფერშლო სადგურები.

*** ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია, თახ-კუთხიან ქვით, რომელიც თამამლეთიდან მოუვიდა, დააგოს ვარანცოვის ძეგლიდან ნემეცების ქუჩამდე მიხეილის პროსპექტი, აგრეთვე ანასტასიის ქუჩა, ხოლო სასახლის ქუჩა ასფალტით დაჰფინოს. ქვა უკვე მიიღო ქალაქის გამგეობამ საზოგადოების „გიორგიას" წარმომადგენელ ბ-ნ მუხუზლასაგან. მასვე შეუკვეთა გამგეობამ 600,000 ცალი თახ-კუთხიანი ქვა ტფილისის ქუჩების დასაგებად.

*** ესახელთ საზოგადოებამ უნდა გაიყვანოს შუა-ბაზარზედ რკინის-გზა. გადადებულია 100,000 მან., რომ ამ ფულით შეისყიდოს ... ის ადგილები, რომელიც დაუშლის რკინის გზის გაყვანას შუა-ბაზარში. ქალაქის გამგეობაში გუშინ-წინ ჰქონდა ბჭობა ამ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ამ საქმის თვალყურის გდება. კომისიამ ამოირჩია ს. ჭრელაშვილი, დოლუხანოვი, ბალდასაროვი და ევანგულოვი, რომელთაც უნდა დაათვალიერონ და დააფასონ ასეთი მამულები. თუ ვინიცობაა, ეს მამულები მეტის ფასისაა, არჩეულნი კაცნი აუწყებენ ამას ესახელთ საზოგადოებას და დაუდებენ ვადას, რა ვადაზედაც უნდა მოაგვაროს მან ეს საქმე მამულების შესყიდვისა რკინის გზის გასაყვანად.

*** ბორჩალოს მაზრის ექიმად დაინიშნა იაგულოვი, რომელიც განაგებდა მარტყოფის ქსენიას.

*** დღეს, 17 ივნისს, კრება ექნება ტფილისის ქალაქის საბჭოს, რომელსაც განსახილველი 38 საქმე აქვს.

*** ამ ჟამად ტფილისშია პროფესორი ა. ხახანაშვილი, რომელიც სამიოდე დღეს დაჰყოფს ტფილისში და შემდეგ ქუთაისის მაზრაში მიემგზავრება არხეოლოგიურ სიძველეთა გამოსაკვლევად.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განუზრახავს რკინის გზაზედ კასირებად მოიწვიოს დონის საკომერციო ამხანაგობის მიერ დასახელებული კაცები. ამხანაგობა თითო კაცზე 15 ათას მანეთს შეიტანს გირაოდ. ასეთ გადაწყვეტილებას რკინის გზის გამგეობა დასდგომია იმის გამო, რომ აქაური კასირები რკინის გზის ფულს ჰფლანგავენო.

*** ტფილისის დედათა საპროფესიონალო სასწავლებლის მოსწავლენი, რომელთაც წელს დაასრულეს ამ სასწავლებელში სწავლა, ამ დღეებში ბათუმს მიემგზავრებიან მასწავლებელთა ხელმძღვანელობით.

*** ტფილისიდან წმ. ანტონის მონასტრისაკენ მიმავალი გზა გაფუჭებულია, ხიდიც დანგრეულია. ეს გარემოება ძალიან აბრკოლებს ტფილისიდან ამ მონასტერში მიმავალ ხალხს.

*** ყოველ წლივ დიდ-ძალი საერობო გადასახადი რჩება ამიერ-კავკასიაში აუღებელი. კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ გუბერნიისა და მაზრის უფროსებმა ყოველივე ღონისძიებანი მიიღონ მომავალ სამის წლის საერობო გადასახადის წესიერად ასაკრებად.

*** მოკლე ხანში ავლაბარი ნავთლუღთან შეერთებული იქმნება ელექტრონის ტრამვაით.

*** ახალ-ბაიაზეთის მომრიგებელმა შუამავალმა სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, ახალ-ბაიაზეთის საზოგადოების სოფლელებს არა აქვთ შეძლება, რომ გამოიწერონ ვენახის სამკურნალო წამლები და ამიტომ ... არსეთ ვჰის წამლის საწყობი ... ში ლექ-გამგეობას მე ... დაბევედა, რომ ... და პატარა

*** პარასკევს, 8 ივნის მოწერილი ბათ ქალაქის გამგეობასა მოაწერონ ნიკოლსებს ქალაქში ახალ ... ბის დადგმის თაობაზედ მოა... ლად.

*** დღეს, 17 ივნისს, კრება ექნება საფინანსო კომისიას. კომისიას სამი საქმე აქვს განსახილველი. სხვათა შორის განიხილავს ქალაქის საურიცხვოს ნაწილის რეორგანიზაციის საგანს.

⁂ მამა დავითის პირველ-დაწყებით სკოლის გამგედ ბ-ნი ალნიაშვილი ათ წელიწადს იყო. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას აზრად აქვს ბ-ნ ალნიაშვილს 600 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს ხანგრძლივ, სამსახურისათვის.

⁂ 15 ივნისს ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან 45 მეისრე იქმნა გაგზავნილი მანჯურიაში.

⁂ სიღნაღის მაზრაში გადმოსახლებულ რუსთა საქმის მოსაწყობად წლისათვის გადადებულ იქმნა 7-300 მანეთი.

⁂ პირველ ივლისს მოეხდება ტფილისის ქალაქის მეორე საობლიგაციო სესხის განაღდება.

⁂ ქალაქის საბჭომ დაადგინა, 1700 მანეთი იქმნეს გადადებული ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო მოხელეთა დასასაჩუქრებლად. ამავე საბჭომ გადასწყვიტა, ნება დართოს პროვიზორს იოანნისიანს, 6 წლით იჯარით აიღოს ქალაქის აფთიაქი. მოიჯარადრემ ქალაქის სასარგებლოდ წელიწადში 4,000 მანეთი უნდა იხადოს.

⁂ გორის ეპისკოპოზი, ყოვლად სამღვდელო ბენიამინი დაუნიშნიათ სუხუმის ეპარქიის დროებით მმართველად ორის თვით, რადგან სუხუმის ეპისკოპოსი არსენი ავადმყოფობისა გამო ორის თვით სამკურნალოდ და დასასვენებლად სხვაგან წასულა.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ მ. საბინინის «საქართველოს სამოთხეს»-ს რუსული თარგმანი შეუძენია «ქრისტეანობის აღმადგენელ საზოგადოებას». ქართველ წმიდათა ცხოვრება ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდება „საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში"-ო და მერე ცალკე წიგნაკებად გავრცელდება. სწორედ მშვენიერი აზრი მოსვლია «საზოგადოებას».

⁂ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» შეუდგა ბეჭდვას პროფ. ა. ხახანაშვილის მიერ შედგენილ წიგნისას: «ისტორია ქართულის ლიტერატურისა».

⁂ კარგა ხანია არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც უნდა განეხილა ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა საზოგადოების ანგარიში. ხსენებული კომისია ახლაც არ შესდგომია ანგარიშის განხილვას, ამიტომ მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისის მოადგილემ წინადადება მისცა ამ კომისიას, მალე ხანში განიხილე ანგარიში და შედეგი მაცნობეთ.

⁂ ტფილისში არსებობს ესრედ წოდებული კომიტეტი ვაჭრობისა და მანუფაქტურისა. ამ კომიტეტს შეუმუშავებია წესი და რიგი იმისა, თუ რა გზით უნდა სწარმოებდეს საქმე ვაჭრობისა და მანუფაქტურისა ტფილისში და ამიერ-კავკასიისათვის სხვა ქალაქებში. წეს-რიგი გადაგზავნება ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად. უკომიტეტოდ მაშინ ვერა საქმე ვერ გადასწყდება და ვერ გარიგდება ვაჭრობის შესახებ.

სიტყვა.

თქმული ყოვლადსამღვდელო კირიონის, ორიოლისა და სევის ეპისკოპოზის მიერ ახალ სამწყსოს მიმართ ორიოლის საკათედრო ტაძარში.

უფლისა აღთქმის აღსრულებითა (მათ. 10, 12) და სიტყვისა მღვთისა პირველ მოწყებულთა მაგალითის მიბაძვითა, მოგიძღვნით სალამს, სასურველნო, ამა სამღვთო ადგილიდან. მშვიდობა ქრისტესი და კურთხევა ღვთისა ღვთივ-დაცულ სამწყსოსა ამას, მწყემსთა, მწყემსილთა და ქალაქსა ამას.

კურთხევითა ღვთისათა და სახელითა უფლისათა მოვედივარ თქვენდა, ვითა თქვენ მიერ უცნობი, მდაბალი მწირი, მოვედივარ ნაკლებად ცნობილ ქვეყანას. გარნა მოვედივარ აღფრთოვანებული მხურვალე სურვილით და აღსავსე მშვიდობითა და სიყვარულით, რათა ვემსახურო ღვთივ ჩემდა ჩაბარებულ სამწყსოს, აღვასრულო დიდი და წმინდა საქმე სამწყემს-მთავრო მსახურებისა.

არა საკუთარის წყურვილებით, არა პირადის სარგებლობის გულისათვის გავჩნდი თქვენ შორის. არ მიძებნია ეს ადგილი, გარნა ზეციერმა მწყემს-მთავარმა, რომელი მიჰმართავს ფერხთა კაცთასა, თვისის გამოუთქმელის მოწყალებითა, დამლო მე ვალად მსახურება თქვენ შორის.

ბევრი, ძალიან ბევრი კარგი გამიგონია ჯერ ისევ შორს მყოფს აქაურ უძველეს ძირითად რუსთა სამწყსოსი თქვენის ქვეყნის ძეთაგან, იმათგან, ვინც სახელითა და დიდებით ილწვის სახელმწიფო სამსახურის უმაღლეს ასპარეზზედ. ხოლო მოვედ აქ და სულით ვხარობ, რომ ვხედავ სამშობლო ეკლესიის აღთქმათა ერთგულ ძეთ.

შიში და კრძალვა ისადგურებს ჩემს გულში, როცა მომაგონდება წინამდებარე ღვაწლი ყოვლად მძიმე და ყოვლად პასუხ-საგებელის მსახურებისა. ჩემზედ ბევრად ძლიერთ სულითა და ღონით უგრძვნიათ უძლურება სამწყემს-მთავრო მსახურების სიმძიმის წინაშე. ვამყარებ-რა ყოველს სასოებას ღვთისა შეწევნაზედა, თქვენს გულ-კეთილობასა და შემწყნარებლობაზედა, ვეცდები გზა-გადაუხვევლად მივსდიო ჩემთა წინა-მოადგილეთა მაღალსა და საგულისხმიერო მოღვაწეობასა. ვიმედოვნებ, რომ მწყემსნი ეკლესიისანი, რომელთაც შეგნებული აქვთ თვისი დიდი მოვალეობა და უწყიან, რომ მათ უნდა მისცენ მაგალითი ერს ქრისტეს მიერ ცხოვრებისა, იქმნებიან ჩემნი კეთილნი თანაშემწენი და თანამოსაგრენი.

გთხოვთ, მიმიღოთ და შემიწყნაროთ თქვენც მშვიდობითა და სიყვარულითა. თვით უფალმა მშვიდობისამ მოგანიჭოთ თქვენ მშვიდობა და კურთხევა ღვთისა ჰგიებდეს თქვენზედა, მართლ-მადიდებლის ეკლესიის ერთგულ ძეთა ზედა და სახელოვან თქვენს ქვეყანაზედა მარად და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. ოც ივნისს «კლუბის» დარბაზში კრება ექნებათ იმ მანდილოსანთა, რომელნიც აარსებენ ქუთაისში პეტერბურგის ქალთა შორის სამეურნეო სწავლა-განათლების გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებას. «ივერიამ» უკვე გამოსთქვა თავისი აზრი შესახებ აუცილებელ საჭიროებისა ქალთათვის სამეურნეო საგნების სწავლისა.

იმედია, ამ კრებაზედ დაესწრება ყველა, ვისაც ეინტერესება ეს საგანი და მონაწილეობას მიიღებს სჯა-ბაასში.

ასეთი საზოგადოება კიდევ არსდება ქუთაისში ქ-ნ ნატალია ქიქოძის თაოსნობით.

რიონ-გაღმის კუთხე. ამ თვის პირველ რიცხვებში სოფ. ქუტუში შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: 19 წლის ყმაწვილი ვ. კოპალეიშვილი ცოლფა ნავით უნდა გასულიყო მდინარე რიონს შუა მდებარე ხმელეთზე „ხვილიაში". როდესაც მენავეს გაეშვა ცოლფა ნავი, კოპალეიშვილი ამ დროს ამდგარა და ფეხზე გაჩერებულა. ცოლფა ნავმა ძლიერი რყევა იცის, ამის გამო უცრად დაბორძიკებული, ვეღარ შემაგრებულა და გადავარდნილა წყალში. თუმცა საბრალო ბევრი ცდილა, როგორმე თავი გადაერჩინა, მაგრამ ვერას გამხდარა, და შთანთქა რიონმა. მას შემდეგ ეძებენ წყალში და ჯერ ვერ იპოვნეს გვამი. დარჩა საცოდავს ახალი შერთული ცოლი და მოხუცებული დედა, რომელთა მწუხარებას საზღვარი არა აქვს.

ამავე თვის 8-ს ს. ტაბანერაში კაცაძემ საფანტიანი თოფით დასჭრა ამავე სოფლის მცხოვრები მეფარიშვილი. მეფარიშვილს თავის ადგილში დაუჭერია კაცაძის საქონელი და გაურეკია; ამ დროს შეუხედავს კაცაძეს და მიუძახნია: საქონელ ნუ მისდენიო; მეფარიშვილს პასუხად შეუგინებია კაცაძისათვის. კაცაძეს ეს აღარ მოუთმენია და უსროლია თოფი ზურგში. 9 ივნისს ტობანიერის მამასახლისის მოხსენებისამებრ სამტრედიიდგან მობრძანდა ბოქაული ბ-ნი იაშჩენკო, რომელმაც ოქმი შეადგინა და კაცაძე დააპატიმრა.

5 ივნისს ტობანიერის ორ კლასიან სამინისტროს სასწავლებელში გათავდა გამოცდა მოსწავლეთა; წელს სწავლა დაამთავრა ვვარიანად 6 მოსწავლემ; ამათში 4 აპირობს სწავლის განგრძობას სამოქალაქო სასწავლებლებში.

აბრეშუმის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ბელი ძლიერ გაძვირდა. პარკიც შემოვიდა, მაგრამ ჯერ ძლიერ იაფად იყიდება: მაზანდა ფუთზე 8-9 მანეთად გამოაცხადეს ვაჭრებმა.

ვლად. ბზვანელი.

სოფ. ხალვინი. (შორაპნის მაზ.) აქამდე ხის ეკლესია გვქონდა. განვიზრახეთ ქვითკირის ეკლესია აგვეგო. შევადგინეთ კომიტეტი მღვ. მ. ი. გველესიანის თავმჯდომარეობით და ეკლესიის აგება გავეცით იჯარით 8469 მანეთად. საძირკვლის გაჭრასა და კურთხევას მალე შეუდგებიან მათის მეუფების იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის ლოცვა-კურთხევით.

გოჩა ჯიხაიში (ქუთაისის მაზრა). ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა ათიშაური წაართვეს ერთს ბავშვს, რომელიც თურმე ბათუმიდან მოდიოდა ბავშვმა მიძახა, გიცანით ვინცა ხართო. ბოროტ-მოქმედნი დაბრუნებულან, უცემიათ ბავშვისათვის და მერე მდინარეში გადაუგდიათ. პატარა ქალი თუთის ფოთოლს თურმე ჰკრებავდა ხეზე, შეამჩნია ეს ამბავი და სოფელს აცნობა.

აბაშის საზოგადოება. (ქუთაისის მაზრა). როგორც ამას წინადაც გწერდით, ვიღაც ავაზაკებმა გასტეხეს, გაძარცვეს და შეაგინეს გამოჩინებულის ძველი ეკლესია. ხსენებული ეკლესიიდგან ავაზაკებმა წაიღეს, სხვათა შორის, ერთი მეტად ძვირფასი და დიდებული ხატი ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა. ვისაც კი უნახავს ოდესმე ის ძვირფასი მშვენება იმ ძველის ეკლესიისა, დაგვემოწმება, რომ გამოჩინებულის ეკლესიას მეტად დიდი განძი დაეკარგა. აბაშის საზოგადოება დიდადა სწუხს «ოქროსა ღვთის-მშობლის» (ხატს უწოდებდნენ) დაკარგვას; ის იყო გაკეთებული თვით ოქროსაგან (პლატინა) და შემკული მრავალის ძვირფასის თვლებითა. ქონების წიგნში ის ხატი ათას ხუთას (1500) მანეთადაა დაფასებული. მაგრამ, ეჭვი არაა, რომ ამაზედ ბევრად მეტად ღირდა. არქეოლოგნი აღტაცებაში მოჰყავდა ამ ხატის ხელოვნებას, მოხუცებულნი ამოწმებენ, რომ, როცა დავით მიტროპოლიტს დაკვირვებით გაუშინჯავს ეს ხატი, უთქვამს: «სწორედ მშვენიერებაა!... მთელ სოფლად ჰღირსო!»

ძველად, გურიის მთავრის მამია გურიელის დროს, ხსენებული ხატი გამოჩინებულის ეკლესიიდგან თათრებს მოუტაცნიათ, რადგან იცოდნენ, რომ ძვირფასი რამ იყო, და ქობულეთში ჩაუტანიათ. (მაშინ თათრებს გაეტეხათ გამოჩინებულის ეკლესია). ამ ეკლესიისვე მსახურს მღვდელს გაბრიელ მოწყობილს რომელიც ქობულეთიდგან ყოფილა ამ ეკლესიის მამულში შემოხიზნებული, გადაუწყვეტია იმ ხატის მონახვა, წასულა თათრებში და მიუკვლევია ერთ ალაგას ნაცნობ თათრების საშვალებით. შემდეგ მამია გურიელთან მისულა და უთხოვნია შუამდგომლობა თათრების «ბეგების» წინაშე ხატის დაბრუნების შესახებ და კიდევაც მოუხერხებია გურიელის შემწეობით. მოწყობილს 80 «მარჩილი» (მანეთი) გადაუხდია და ხატი დაუხსნია და ისევ გამოჩინებულის ეკლესიაში წამოუსვენებია. იმ დღიდან ის ხატი ხსენებულ ეკლესიაში ესვენა და დღეს კი უსინდისო ვიღაც ავაზაკის ხელმა ისევ მოაშორა ეკლესიას და მის მრევლს.

მელიქსედეკ მადოსხვი.

სვანეთში ორის კვირით *)

მოხუცებულ მამა გიორგი მარგიანთან ჩვენ ენახეთ რამდენიმე დაშლილი ტყავზედ ხელნაწერი საეკლესიო წიგნი, უფრო ბევრი უთავ-ბოლო; მათშორის სამი ტყავზედ ნაწერი სახარებაა. ეს ხელნაწერნი მამა გიორგის, როგორც პაპს, პაპობაშივე ჰქონია და მისს საკუთრებას შეადგენენ.

სამივე სახარება საყურადღებოა და მათ შესახებ შემდეგ, სხვა სახარებათა განხილვის დროს, გვექმნება საუბარი.

მეორე დღეს, 15 ივლისს, გავედით აშფოთებულ მდ. მუჟალის ჭალის მარჯვნივ, კლდოვან დაფერდილ ჯაგნარზედ, გვეუდექით მულახისაკენ მიმავალ ბილიკს.

XIX.

მულახის საზოგადოება მდებარეობს მდ. მუჟალის ჭალის მარჯვნივ, მშვენიერს ვაკობიან ფერდობზედ და შესდგება შემდეგ სოფლიდგან — **მუჟკერი, ჟამუში, დახარი, ლევშერი, ზარდლაში, ჩოლი** და **არგხელი**. გვარები აქაც ქართულია — **ნიჟარაძნი ქალდანი, ითსელიანი, მელითგანი, გუდანი, მარგიანი, ბაბლოვანი, ზურაბიანი, მათვლვანი, დევდარიანი, ჯაჯიანი, ჯაჭვიანი, ქარჩავანი, გიგლიანი, ლეხულაშვილი, შარამაძე, წიფიანი, გაბლიანი, ჯორჩოლიანი, ქურდიანი, დადეშქელიანი, დადვანი, მჭედლიანი, ბერიანი, გიგანი, მაფშიანი**. სულ 120 მცხოვრები იქმნება. ამ საზოგადოებაში ოთხი საყდარია.

ს. ჟამუშის მაცხოვრის საყდარში მშვენიერს ოქრო ცურვილს ვერცხლის მაც-

*) იხ. «ივერია» № 124.

ფელეტონი

მარტოობა.

(ესკიზი).

ვუძღვნი შიო მღვიმელს.

ძნელი არის მარტოობა სულისა...
ნ. ბარათაშვილი.

(დასასრული *)

მე არც ის მიმაჩნია მარტოობათ, — როდესაც, ზღვის პირათ ბალახებში წამოწოლილი, გასცქერი ზღვის დაუსრულებელ სივრცეს.

ზღვა ღელავს, ბობოქრობს, ღრიალებს, ბუღ-ბუღებს. შუა-ზღვიდან წამოსული ტალღა, ნაპირებთან უხილავის ძალით იზრდება, მთის ოდენა ხდება, ქანაობს, ქანაობს, მერე საშინელის სისწრაფით იშლება და ტყლაშუნით აწყდება კიდეებს. ამ ტალღას მეორე მოსდევს, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე... ვეღარ დაგითვლია [illegible] თვალთ გიჭრელდება. [illegible] მშობლები [illegible] შენ [illegible] ფიქრებიც რიალობენ [illegible] ძით-ღა გდიხარ. აღარ [illegible] [illegible] შეუბრალებელის სტიდაიჭრა. ეს იყო ყურები-ღა გიშხუის.

გაიხადა რუმი გიმონავებს ზღვის სიდიადე. [illegible] გიწვდენია მისის სივრცისა [illegible] ვერ დაგილაგებია და, [illegible] გარდაქცეული, მიჰფრინავ ღრუბ[illegible]ებისაკენ, იქ, სადღაც, შორს, შორს [illegible] ტახტზე რო გადაპენტილან და, ჩამავალ მზის სხივებით მოქარგულნი, უკ[illegible]დაებს, თავისუფლების სადგურს დამ[illegible]გავსებიან. იქიდან, იმ ღრუბლებიდან, გადმოსცქერი შენს ლეშს, ზღვის პირად გაჭიმულს და თვალებ დაჭყეტილს. ოხ, რა არარაობათ გეჩვენება შენი თავი, რა მცირეთ, რა კნინათ, ამ ზღვასთან შედარებით.

— რა ხარ შენ?

— არაფერი!!.

მაგრამ აგერ კვლავ შემოგღრიალა ზღვამ, შემოგიტია სულ-მდაბლობისათვის. შენი ლეში გამოცოცხლდა, სული ღრუბლებიდან ჩამოფრინდა და, გამოფხიზლებული, იღიმები, მერე წარბებს იკრავ და გულის მოსაფხანად ზღვაში რიყიდან აღებულ კენჭებს ისვრი, ვითომ ხელი არ [illegible] და მოქუხარი ზღვა ისევ [illegible] არ მოგმართავს.

კვლავ გაბ[illegible]ი, ფიქრთა კონამ აგიტაცა და იგე[illegible] შენ სამშობლოში, შენ ქვეყანაში დაგსვა. ხედავ შენ თვისსა და ტომს, შენს მეგობრებს (ამ დროს ყველა მეგობარი გგონია), შენ სა[illegible] — მშვენიერ [illegible] ქუჩუნა გოგონას, თვისსა და ტომს გამარჯვებას ეუბნევი, მეგობრებს დღეგრძელობას უსურვებ, სატრფოს სამუდამო სიყვარულსა სთხოვ, ექვ-ნაკრავი ებუზღუნები, ეალერსები, ჰკოცნი დაუსრულებლად, მაგრამ მაინც ვერა ძღები მასთან ყოფნითა!.. ბავშვივით უმანკო გგონია შენი თავი და ზღვასავით — ძრიელი, მედგარი. გინდა დააკლო ყველას ხელი, აიტაცო მაღლა ცაში და იქიდან დაანახვო: რა სუსტი, რა ბეჩავი ზღვა ცასთან შედარებით.

ცა-კი?

ცა უფრო დიდებულია, უფრო დიადი საიდუმლოებითაა სავსე.

აგერ შენიანებთან ერთად დადიხარ ღრუბელთა შორის, ვარსკვლავებს დასაჭერად დასდევ. იგინი კი დაკიკვიკებენ, ხელიდან კალმახებივით გისხლტებიან, აქაიქა თვალებსა სჭუტავენ, გიცინიან, გეწმაწუნიან! შენც გეცინება. ცას კი გული მისდის, ფითრდება, კოპებს იკრავს. უკანასკნელი შუქი ტატნობისაც სადღაც ჩაჰქრა, ჩაილია. ცა სულ გაპირქუშდა, თვალიდგან მიგემალა.

ისევ ზღვა და ზღვა, ყბედი, მოქაქანე გიდევს თვალ წინ, ჯავარ-აშლილი, ეშვებ დალესილი ტყის ტახივით ღრუტუნით მოაგორებს ვეშაპივით ტალღას და...

— ტყლაშ!.. ეკვეთება კიდეებს, დედამიწა ცახცახებს, ტყე გრიალებს, მთა ძიგძიგებს.

— ტყლაშ... ბრჰ... ბუჰჰ!... გმინავს ზღვა და [illegible] ღრიალით თავზარსა გცემს. აგერ ერთი ტალღა კიდევ წამოვიდა შუაღელედან, გაიზარდა, გაიზარდა, მავ-ბნელ ღრუბელსავით აეკიდა ცას, მერე აქაფდა და ისეთი ძალით შემოჰკრა სილა საბრალო კიდეებს, რომ რიყემ შიშით უკან დაიხია და შენ წელამდის დასველდი. გულგახეთქილი წამოვარდი ზეზე და რას ხედავ?

შენ ციდან ჩამოვარდნილხარ, ზღვა-კი გაბატონებულა, ზღვა გაღმერთებულა, ლმუის, მდევივით დაგორავს, პირიდან ქაფებს ისვრის, ცასა და ქვეყანას შთანთქმას უქადის.

რომელი სტიქიონი შეედრება ამღელვარებულ ზღვასა?! უყურებ და არ გჯერა, ხედავ და აზრი ვერ მოგიკრებია, საიდან ან როგორ გაჩნდა წყალთა ამოდენა გროვა!

უმზერ მღელვარე ზღვას და გაგონდება ის შავნი ძალნი, რომლებიც ცხოვრებასაც ამღვრევენ, აბობოქრებენ. გული გტკივა, რომ არ შეგიძლია შეაჩერო ზღვის ბორგვა, სიმწარისაგან ლაწვებზე ცრემლი ჩამოგდის, რომ ვერ ახერხებ ამოფხვრა, გაანადგურო ბოროტი ძალები, და ქვეყნათ დაამყარო სიმშვიდე, სათნოება, პოეზია...

— მაშ რაღა ხარ?

გეშინია ზღვამ აღარ დაგცინოს და გულადით გაიძახი:

— მე ვარ ადამიანი... მე შემიძლია შევისწავლო კანონები ბუნებისა, შემიძლია დავამშვიდო, საბრალო ქვეყანავ, შემიძლია... გაჩუმდი მეთქი, ზღვავ!... ყვირი, ღრიალებ ცნობას მოსული, შეთოთავ, მუშტებსა ჰკუმავ და, ჯავრითა და ბოღმით თვით მუშტის ოდენათ დაცარულს, გსურს შეეჭიდო ცასა და ქვეყანას.

ზღვა კი ყურსაც არ იბერტყავს შენ ყვირილზე და გრძნეულსავით ბღუის, ზრიალებს, ხარხარებს.

განა მარტო ხარ ამ დროს? არა!

შენ ჰფიქრობ, შენ სცოცხლობ, ძალღონეს იკრებ, სწავლასა და ბრძოლას აპირებ. შენ ამ დროს ორ-ფეხა ცხოველი აღარა ხარ, შენ ხარ კაცი — გონიერი ადამიანი, რომელსაც თავისთვისა და სხვისათვისაც სიცოცხლე გწყურია, სიცოცხლე ღვთისნიერი, თავისუფალი.

ეულად, მარტოდ მხოლოდ ხალხში, ადამიანებში გრძნობ თავსა! იმ დროს, როდესაც ცხრათ წელში მოხრილი, ჩაფერფლილი მოსჯდომიხარ მაგიდას მდივნის კანტორაში და სწერ და სწერ შენთვის უმნიშვნელო, მაგრამ პატრონისათვის კი დიდ მნიშვნელოვან ციფრებს... შენ გვერდით ათი და თორმეტი შენსავით დაბეჩავებული მისი ლუკმა პურისა, შენზე უარესად ჩაყვითლებულნი და საცოდავათ აწრიპინებენ დატანჯულ კალმებს...

თავ-ბრუ დაგესხა, დარეტიანდი ციფრების წყრით, საანგარიშებელ ჩოთქის რახა-რუხით. მანქანობა მოგწყინდა, ვინდა გამოელაპარაკო ვისმე.

— სსს!... გისისინებს მეზობელი.

მდიდრულად მორთულ კაბინეტიდან მოისმის უფროსის გამძღარი ფშვინვა. ყურს უგდებ, გინდა გაიგო: დღეს რაღა გუნებაზე ბრძანდება შენი უფროსი, მადლიერია თუ არა შემოსავლისა, შენის მუშაობისა, მოგცემს თუ არა ოცში ჯამაგირს, გასესხებს თუ არა ფულს, რომ გაისტუმრო მედუქნეების ვალი, გაძღე და გაათბო საყვარელი ცოლ-შვილი თავისუფლად, თამამად შეხედო ყველას თვალებში.

— ბიჭო, ფული მჭირია... გამიმართავს ხელს თუ არა ჩვენი ბატონი... მოვკვდი დავიღე ამდენი ჯავრით. ცოლ-შვილი მშიერი ამომიწყდება. სიცივრი სახლში აღარ შემიშვებს... მეწვრილმანე ქუჩაში ქუდს მომტაცებს... ჰა, ბიჭო, რას იტყვი?

— სსსუ... კაცო, მოდის...— ჩაიჩურჩულებს მეზობელი. — მოდის, მეთქი...

კაბინეტის კარებში ხედავ შენის უფროსის გაბურძგნულ, ჩასუქებულ სახეს ლიპი ერთს არშინზე გადმოუგდია, [illegible] შენებულის ბეჭდის ოდენა ბრილიანტი ბეჭედი ბანჯგვლიან სალოკ თითზე წამოუცვამს. მდიდრული ტანისამოსი აცვია, უძილობისა და ქეიფის გამო თვალები ჩაპსისხლიანებია, მაგრამ მაინც ისეთი მედიდური გამომეტყველება აქვს თითქოს გეუბნება: განხორციელებული ფულები ვარ, რომელ ჯიბეზე-

*) იხ. „ივერია", № 139

ხოვრის ხატზედ აწერია ხუცური ასომთავრულით: № 75 «ქ. ადიდჱს ღმერთმან შჱვლთ მეფე გიორგი და დედოფალთ დედოფალი რუსუდან და ძე მათი ბაგრატ რომელთა შეამკეს ხატი ესე მაცხოვრისა მეოხისა სადღეგრძელოდ, ცოდვათ მათთა შესანდობელად». ხატის გარს არშიაზე პატარა ხატები (მედალიონები) გამოყვანილია: წმ. გიორგი, მალაქი დასუჯდომელი, მთავარანგელოზი, წმ. თევდორე, დედა ღვთისა, ნათლისმცემელი, წმ. თევდორე, თევდორე მერელი.

ეს ხატი შემკობილია 1565 წლის შემდეგ; იმერეთის მეფე გიორგი არის ბაგრატის ძე, რომელმაც 1563 წ. მოიყვანა ჩერქეზეთის ბატონის ასული რუსუდან († 1578 წ.) და ბაგრატი დაებადათ 1565 წ. [1]).

მეორე მაცხოვრის ოქროში დაფერილ ხატზედ № 76. «ქ. ღმერთო და მაცხოვარო მეოხისაო, მცველ და მფარველ ექმენ თრთავე მისა ცხოვრებათა მაჭიყვარიანსა ბედენს, ამინ.

ღმერთო და მაცხოვარო მეოხისაო, განაძლიერე მეფეთ-მეფობა პატრონის გიორგისა, დედოფალთ დედოფლისა პატრონისა თამარ, ძეთა მისთა ალექსანდრეს....» გარს არშიაზე პატარა ხატებია გამოყვანილი, როგორც წინა ხატზედ. გიორგი მეფე, ძე კონსტანტინესი და ძმა როსტომ მეფისა, მეფობდა იმერეთში 1605—1639 წლებს შორის; ამისმა შვილმა ალექსანდრემ 1618 წ. შეირთო ცოლად მამია გურიელის ქალი. ამავე ალექსანდრემ შეირთო მეორე ცოლი, ასული კახთ მეფის თეიმურაზისა დარეჯან 1629 წ. [2]).

ყელსაკიდი ხატი ოქროში დაფერილი ვერცხლით შემკული—ერთი მხრივ ღვთისმშობელი, მეორე მხარეს—წმ. გიორგი, წარწერით: № 77 «ქ. წმიდაო გიორგი გარუმაჯვე ადმედას თისელაანს».

ოქროში დაფერილ ვერცხლის წმ. გიორგის ხატზედ: № 78. «ქ. წმიდაო გიორგი, მეოხ და მფარველ ექმენ გულიძეს დომეკცს და თანამეცხედრესა მისსა ჯაფარიძის ქალსა კაკონს, შვილთა მათსა შემწე და მოწყალე ექმენ დღეს მას განკითხვისასა, ამინ, უფალო».

ამ ხატს ოქრომკედიანი ხავერდის ბუდე აქვს წარწერით: № 79. «ჩვენ კოშკაძემან ქაიხოსრო შემოგწირე ხატი მაცხოვრის მეოხისაო, და ბუდე კარგი. შემიწყალე, შენს მადლსა, ამინ. და დროშა ესე ოქრო ქსოვილის ხავედისა, შემეწიე და გამიმარჯვე»...

ღვთის მშობლის დიდი ხატი ოქროში დაფერილი ვერცხლისა წარწერით: № 80. «ქ. მე ფრიად ცოდვილმა დომეკცმა... და თანამეცხედრემან მათმა ჯაფარიძის ასულმა კაკუნამან და შვილთა ჩვენთა რომელთა შევამკვე ხატი ესე ყოვლად წმიდისა, რათა მეოხ მექმნეს ჩვენ ცოდვილსა ამას. ღმერთო შეუნდევ ცოდვანი მისა ქრისტეოსისთვის».

აქ არის ზარი წარწერით: № 81. «ქ. შემოგწირე: ჩვენ: მეფეთ: მეფემან: კელმწიფემან: პატრონმან ალექსანდრე თქვენ სვანეთის დობრის—ზარდიდის მთავარ-ანგელოზსა: მეორე: შესაწირავი: ესე: მეფობასა ჩვენსა წარსამართებლად და დღეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩვენთათვის შესანდობლად».

ალექსანდრე მეფობდა კახეთში 1574—1605 წლებს შორის, იყო მოსისხლე მტერი ქართლის მეფის სვიმონისა. ამიტომ თვით შეირთო ბარძიმ ამილახვრის ქალი თინათინ, შემდეგ, 1590 წ., თვისი ქალი ნესტან დარეჯანი მიათხოვა მანუჩარ დადიანს. ნესტან დარეჯანი მეორე წელს ლევანის მშობიარობაზე მოკვდა. პატარა ლევანი ალექსანდრემ წამოიყვანა კახეთში და თავისთან ზრდიდა. [3]) ალექსანდრემ, რასაკვირველია, მანუჩარის თხოვნით ზარები შესწირა სვანეთის საყდრებსა და ამით მანუჩარმა გაიერთგულა სვანები. აქ არის რამდენიმე ხელნაწერი: პატარა კურთხევანი, ტყავზედ ნაწერი ძველი სახალხო შელოცვებით. კონდაკი ქაღალდზედ ნაწერი, ბოლოს ვრცელი განსატევებელი ლოცვებით: № 82. «ესე ლოცვანი არა იქსით ბერძენთა და რუსთა, არამედ საქართველოსა შინა თქმულ არს და ამისათვის არც ჩვენ დავუტევეთ. ღმერთო შეიწყალე ცოდვილი მონა შენი პეტრე მღვდელი თრისავე სიცოცხლესა შინა, ამინ». ეს მშვენიერი ლოცვები 1710 წელს დაიბეჭდა ტფილისში, კონდაკის ბოლოს, მეფის ვახტანგ VI ბრძანებით. ვერ გაგვიგია, რათ აიღო ხელი საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებამ ამ სარწმუნოებრივი გრძნობით სავსე ლოცვებზედ? ურიგო არ იქნებოდა მათი კვლავ ხმარების აღდგენა. 1860 წლამდე ქართლში კიდევ ხმარობდნენ ამ ლოცვებს ძველი მღვდლები. აქვე ვნახეთ ბუკი და მშვენიერი ფოლადით ნაჭედი ფარი, ირგვლივ ძველის არაბულის (კუფიური) წარწერით.

აქვე ვნახეთ მშვენიერი ოქროს ზარნაშით ნაკეთები ფოლადის ლაგამი, ამისი ტოტები ხამი ტყავის კოპისაგან დაწნულია ისე, როგორც (კახეთში წყლის კალათის პირსა და ყურს სწნავენ ლვერთეკეცით. ეს ლაგამი თამარ დედოფლის ნაქონია, თავმოწონებით გვითხრა საყდრის მნათემ—სვანმა.

ექ. ბ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

[1]) იხ. ქ. ცხ. II. 191 გვ.

[2]) იხ. იქვე 196—197 გვ.

[3]) იხ. იქვე III და 246 გვ.

ნარკვევი

«ლეტოპისეცი» მსჯელობს სახრო განათლების მინისტრად გლაზოვის დანიშვნის შესახებ და თან მოკლედ ახასიათებს ვანნოვსკის დაუვიწყარ ღვაწლსაც სახრო განათლების საქმეში. ვანნოვსკის ღვაწლი ისიკი არ იყო, რომ ბევრი რამ გააკეთა სკოლისათვის, არამედ ის, რომ მან მოახერხა და სულ სხვა სიომ დაჰბერა სკოლისა და განათლების საქმესაო.

დევნილი ვანნოვსკისა ის იყო და არის, რომ რაღაც ერთს წლიწადში ძირიანფესვიანად შესცვალა გუნება რუსეთის საზოგადოებისა, რომელსაც მტლაშათ ზედ დაედო ათასი ლაქა და სიცოცხლეს უმხიარულ დიდის ხნის განმავლობაში... აბა კი როგორ უნდა მოქმედდეს კეთილად რუსეთის საზოგადოება სკოლის, რომელიც ყრუ-უდრევი ფორმალიზმით და ჩამოხვლა რუტინით იყო გარემოცული?!.. და აი უცბად დაუბერა სასიამოვნო სიომ, გაისმა სიტყვა ადერსისა, სასოება-იმედიანობისა... ყველამ ცხადად დაინახა ახლა-კი, რომ სკოლას წუთის შემდეგ სკოლა ჩვენთვის ყველაზედ ძვირფასი საუნჯე და იქცევა ბუდეთ ჩვენი. და აი ეს გული, რომელში ადგილი არა ჰქონდა მისამდე აქ, საუკუნოდ ყრუ-უდრევი ფორმალიზმი იყო გამეფებული, იქმნა მოწოდებული, მომხიბლავი. რუსეთის საზოგადოებამაც მისდამი, რასაც მაუწოდეს მასწავლებელთა და მოსწავლეთა გულს და გონებას. ყველას ახსოვს, რა აურაცხელი წერილები გაჩნდა გაზეთებში, რა პროექტები იბეჭდებოდა სამდგომლოდ მანამდისა მაშინ. ყველას უნდოდა თავისი რამ სიტყვა ეთქვა. ყველა ცნობდნენ დაუნაყვებანს ქვეყნისათვის, რომ საქმე განათლებისა, სკოლისა უცხო არ არის მისთვის. თუმცა ყველას ნათქვამი მარგალიტი არ იყო, ხელის-ხელ სიკეთისა, მაგრამ მაინც ასეთი სწრაფვა ხელისა ყოვლად ნაყოფიერია, ამისთანა სწრაფვას ძვირად უნდა ვაფასებდეთ. დიდი საქმეები მწიფდება სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ ძალთა დუღილში. უბედურებაა, როცა საზოგადოება ძილს ეძლევა. საზოგადო აზრი და გრძნობანი გამოაღვიძა ვანნოვსკიმ. ეს არის მისი დიდი ამაგი და ღვაწლი. სკოლის საქმის მჭიდროდ გაგებამ შეაძლება მხოლოდ საზოგადოების მხნე შემწეობის წყალობით, იმიტომ რომ სკოლა ბუნებრივი განეძრახავ «სახლისა», ოჯახისა. უბედურებაა, თუ სკოლასა და ოჯახს შორის განხდა გაუცხოება, უნდობლობა, გაბოროტება. უთუოდ ეს ბლომად იყო ჩვენში ვანნოვსკის დანიშვნამდე. მას შემდეგ სხვანაირად დატრიალდა საქმე, საბედნიეროდ დატრიალდა. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს. ხოლო ვისაც ეს ახსოვს, ის ადვილად დასვენის, რომ ვინც უნდა იდგეს სახრო განათლების სათავეში, უსათუოდ იმ გზაზედვე უნდა იაროს, რა გზასაც ადგა საცხრო მოხუცი განსვენ., თუ უნდა მართლა ნამდვილისა და დიდის საქმის გაკეთება.

თეატრი და ხელოვნება

(ბ-ნ სუმბათაშვილის «ღალატი» ბათუმის) ქართულ-სცენაზე.

სავალალოდ და ჩვენდა სამწუხაროდ ბათუმის «საზოგადოება» მოკლებულია თეატრს, ამ ჩვენ ერის დიდმნიშვნელოვან გონიერებისა და აზროვნების სამოქმედო სამუშაო კულტურულ დაწესებულებას. ჩვენ აქ არა გვაქვს საკუთარი თეატრი, გვყავს ადგილობრივ რიგიანი სასცენო მოსამსახურეთა ჯგუფი. იშვიათია ხოლმე წარმოდგენები საზოგადოდ და ღირსეულად ჩატარებული კი კერძოთ. ამ მხრით ბათუმი ჩამორჩენილია ქალაქებს, ჩამორჩენილია ისეთ დაბასაც კი, როგორიცაა ყვირილა. ყვირილაში საკუთარი თეატრი და ქალაქ ბათუმში კი არა! სწორედ საკვირველია, ლმობიანი, საკვირველი! და როდის იქნება ნეტავი, რომ ბათუმიც წაბაძავს «ყვირილას» და ამოეგნა ქალაქი საკუთარ რიგიან თეატრს დაადგენს და არ დაკმაყოფილდება იმ თავლა-ყაზარმის მგზავს შენობით, რის დაქირავებაში ასე ზორბად სთვლიან ლითონის დუმას და რომლის სახელია: «ბათუმის რკინის თეატრი». ჯერ-ჯერობით მაინც ავად თუ კარგად ამით ვსარგებლობთ ბათუმელები და ვნახოთ რას გვიჩვენებს მომავალი, თუმცა, ვიმეორებ, ძლიერ ცუდია, რომ აქ ისე მიდის დღეები, კვირეები და თვეებიც, რომ ქართულ წარმოდგენას ვერ იხილავთ, როგორც მაგალითად ეხლა, გ. ი. 2 მაისიდამ დაწყებული ეს პირველათ ვიხილეთ წარმოდგენა ქართულ სცენაზე. და აი შაბათს, 12 ივნისს, ქუთაის—ტფილისის არტისტებმა «რკინის თეატრში» წარმოადგინეს დრამა-ტრაგედია ბ-ნ ა. სუმბათაშვილისა «ღალატი». აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ გადაჭარბება არასოდეს არაფრის არ ვარგა და «ღალატის» ასე ხშირ-ხშირად გამოტანა სცენაზე ჩვენში ერთ გვარ გადაჭარბებულ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, რაიცა არც იმდენად სასურველია და სასარგებლო; რამდენადმე ეს იქიდამაც მტკიცდება, რომ ბათუმში ეს მესამეჯერ დადგმულმა «ღალატმა» საზოგადოება იმდენად ვერ მიიზიდა, როგორც პირველ ორ წარმოდგენაზე. ჩვენ გვრწამს, რომ «ღალატი» ფრიად მნიშვნელოვანი დრამაა ჩვენ ისტორიულ დრამატიულ ნაწარმოებში. «სამშობლოს» შემდეგ პირველ ადგილს დაიჭერს, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო და საზღვარი აქვს და ერთის და იმავეს მალმალე გამოტანა, როგორც შესაფერ საზღვარს გადაცილებული, ნაკლებ მნიშვნელოვანია, ერთ გვარათ გადაჭარბებულია და როგორც ასეთი საზოგადოთ მოსაწყენი და მომბეზრებელია. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება თეატრი და ხელოვნება ხალხის გულს დაუახლოვოთ, მათ შორის უნდა გავაბათ შემაერთებელი ძაფები, უნდა ჩავდგათ შემაკავშირებელი სამირკველი, უნდა მოვამზადოთ ურთიერთ შორის გამამტკიცებელი და შესათვისებელი ნიადაგი. აქაა საჭირო მეტი შრომისმოყვარეობა, მეტი გაცნობა-დაკვირვება, მეტი მომზადება — სიფრთხილე, რომ ხალხს არ მივაწოდოთ ისეთი რამ, რითაც გული აუცრუვდება, ხალისი დაეკარგება, თავი შეზიზღდება, დაკარგული დრო სანანებლად გაუხდება, როგორც ეს არა ერთმა და ორმა შემომჩივლა დღევანდელ «ღალატის» წარმოდგენაზე. მე უარს არა ვყოფ ზოგიერთ ისტორიულ დრამების წარმოდგენას ჩვენის წარსული ცხოვრებიდამ, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ ზომიერად, შესაფერად უნდა ვიხმაროთ ასეთი ღონისძიება და უმთავრესი ყურადღება კი ახალ ცხოვრების დრამატიულ ნაწარმოებს უნდა მივაქციოთ, სცენაზე უნდა გამოვიტანოთ ყველა ის ორიგინალი ქართული პიესები, რომლებიც დღევანდელი ჩვენი ცხოვრებიდან არის ალებული, დღევანდელ რთულ სოციალურ პიესების ვითარებას ასე თუ ისე ახასიათებს, ცხოვრების მწვავე საკითხებს გვითვალისწინებს, გვირკვევს და ასე რამდენადმე ჩვენი ხალხის თვითცნობიერების გაფართოებას ხელს უწყობს და გზას უკვალავს, მაგრამ ამავე დროს არ კმარა მარტო ქართული ნაწარმოები, აქაც ისე, როგორც სხვებშიაც და სხვებსავით სხვისით უნდა ვისარგებლოთ, უნდა დავიხმაროთ, უნდა ვთარგმნოთ შესანიშნავ მსოფლიო დრამატურგთა ნაწარმოებნი, უნდა გადმოვაკეთოთ ქართულ სცენაზე ქართველ ხალხს გავაცნოთ; მათი გაცნობა მასაც თავის თავს გააცნობს და ახე თან და თან ხელს შეუწყობს, რომ ქართველმა ხალხმა გაიცნოს ცხოვრების მიმდინარეობა, მისი აუცილებელი კანონები, გამოიმუშაოს რეალური შეხედულება და გასწიოს მსოფლიო საკაცობრიო ჭეშმარიტ იდეალებისაკენ. შილერი, გიოტე, შექსპირი და სხ. დღეს განათლებულ ქვეყნებში „მოხუცებულ" ის სახელით არიან მონათლულნი, თუმცა მნიშვნელობას ისინი სულაც არ ჰკარგვენ, სამაგიეროდ მათ გვერდში ამოუდგნენ ახალი ცხოვრების გმირები, კაცობრიობის ძლიერი ბელადნი ჰერპტ ჰაუპტმანი, მორის „მეტერლინკი, დიდებული ჰენრიხ იბსენი და სხვ. საჭიროა, ჩვენი ხალხი ამათ იცნობდეს, უნდა ვეცადოთ, ჩვენი სცენა, თეატრი ევროპიულ კალაპოტში ჩადგეს, ევროპიული ხელოვნება გადმოიღოს და გაევროპიელებულ გზაზე დამდგარ ქართველ ხალხს, რამდენათაც ეს შესაძლებელია, ჩვენმა თეატრმა გზა უნდა გაუკაფოს მეტის კულტურისაკენ, მეტის სინათლისაკენ!

«ღალატს» კი, რასაკვირველია, თავისი შესაფერი მნიშვნელობა ექნება. და ასეთ თუ ისეთს სარგებლობასაც მოიტანს, მხოლოდ მის დღევანდელ წარმოდგენაზე უნდა ვსთქვათ, რომ სუსტად ჩაატარეს საზოგადოდ არტისტებმა და იტომ დაამტკიცეს ნაკლები მუშაობა—მომზადება და ქართველური დაუდევრობის ხედ-დამატება, ჩვენ გვგონია, უფრო უკეთ ითამაშებდნენ, უფრო დახელოვნებულად წარმოგვიდგენდნენ, მაგრამ სამაგიეროდ წინანდელზე ეხლა უფროც სუსტობდა საზოგადოდ. სულეიმან ხანის როლში სუსტობდა ბ.-ნი შალიკაშვილი და მესხიშვილობა მესამედათაც ვერ შესძლო, ნაკლები იყო ქ. კარგარეთელი ზეინაბის როლში და ქ. ე. მესხთან შედარება ოდნავათ არ შეიძლება, ეფემია მესხის გმირული მიმოხვრა, თავდადებული გატაცება თავისი როლით, გარკვეული თავისუფალი ლაპარაკი, მაყურებელს იტაცებს, ბევრგან ქრუანტელს გვრის და ატირებს მდუღარე ცრემლით და ამის შემდეგ კარგარეთელი თავის ენა ბორძიკი ლაპარაკით, და ბევრგან არა ბუნებრივი მოქმედებით იმდენ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მაყურებელზე. გაიანეს როლი ძლიერ გააფუჭა ქ. ჯავახიშვილმა, არც ლაპარაკი, არც მიმოხვრა, არც სახე და სხვა არ უმტკიცებდა, რომ ის ახალგაზდა უმანკო გაიანე იყო, ის უფრო ბებერს წააგავდა ახალგაზდა გოგონას როლში, რომელიც უბრალო ტიკინივით სასაცილოთ აქეთ-იქით ულაზათოთ დაცუნცრუკობდა, ქ. დავითაშვილი ბევრად უკეთ თამაშობს ამ როლში და შედარებაც არ შეიძლება ჯავახიშვილთან. ბესოს სუსტად თამაშობდა ახოსპირელი, საბას როლიც არ ვარგოდა, სამაგიეროდ გვარიანი იყო სვინონიძე (დათო) და ჩარკვიანი (ერეკლე), გაბუნია (მაიკო) და ქ. მდივანი (რუქაია), მხოლოდ არა ნაკლები, არამედ შედარებით ბევრად უკეთესი იყვნენ: ბ-ნი გუნია (ოთარ-ბეგ) და ბ-ნი ყიფიანი (ანანია); ესენი უფრო მეტის დახელოვნებით გამოსწნდნენ და სწორედ ამშვენებდნენ წარმოდგენას, ვფიქრობ, ამათი როლების შესრულება სხვამ უკეთესად შესძლოს ჩვენში.

როგორც ზევით ვსთქვით, წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო შედარებით.

განკეჩუდი.

წერილი

რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით წიგნების გამომცემელთა ვაცნობო თუ მოისურვეს ჩემი ლექსის «კინტოს სიმღერა»-ს დაბეჭდვა, რომელიც დაბეჭდილია ჩანგში და პატარა ლექსთა კრებაში, ბოლოში მოწერილი აქვს ანდრონიკოვი, ვთხოვ მოაწერონ ანდრიანოვი.

ა. ანდრიანოვი.

„ივერიის" ფოსტა

ხ—ი ი. ბ—ძ. თქვენი ცეკვდი. «ვინა ეს არის შვილობაო?» არ დაიბეჭდება. დროზის ამბავს იქით კერძო შევატყობინებთ.

დაც უნდა დამკრათ ხელი. სულ ორმოცდა ათ თუმნიანებს ამოვყაჰავო!...

შენ უფროსს ვეღარ ხედავ. თვალწინ გიდგია სოსანი ქაღალდის ორმოცი-და-ათთუმნიანი. ერთი, ერთად ერთი ცალი!.

— უჰ, რა ფულია და ორმოცდა-ათთუმნიანი! .. ერთი ჭუჭყიანი ცალიც რო მქონდეს, ჩემზე ბედნიერი არავინ იქმნება... ვალებს მოვიშორებ, ცოლ-შვილს გამოვკვებავ... სიდედრს სალოფს ვუყიდი.., არხეინათ დავიძინებ... ჰფიქრობ შენ და, ოცნებაში წასული, სულელურათ იღიმები...

— რას იღრიჯები!—გესმის ამ დროს უფროსის ბოხი ხმა—.. უბრალო ლრეჯალიმილს არ გირჩევნია, რიგიანათ იმუშავო, ადრე მოხვიდე ხოლმე კანტორაში, გვიან წახვიდე. სამუშაოს თავი ჩააკალ, თორემ ყველას ერთ დღეს გაგრეკავთ... უფროსი შენთან ერთად ყველას ემუქრება. საწყალი შენი ამხანაგები კანკალმა აიტანა, შენ კი ჰაობის ციებამ გაგიხსენა და კბილი კბილზე დაგინაყა...

— ნეტა ვისზე უფრო ჯავრობს?—ჰფიქრობ შენ.

— ამ დღეებში დავითხოვ, რადგანაც ძრიელ გაფანტულათ მუშაობ... მგონი ტვინი თავში რიგზე არ უნდა გქონდეს დალაგებული... შე დაბდურო, ჯერ საქმე უნდა და მერე ოცნება. შენ კი სამუშაო დროს ოცნებაში ალამებ. განა ვერ გატყობ, მთელი დღე ინდოურივით გაბუცებული რო დაიარები... გესმის, შენ გეუბნევი, შენ! გიყვირის უფროსი და თავისს ბანჯგვლიან ხელებს თვალებში გჩრის.

— მე!?.—ხავი ცაკანივით.

— დიახ, შენ!...

— აკი ვმუშაობ, რაც ჩემ მშიერ კუჭსა და დამცირებულ ყოფნას შეეფერება. გამიხსენით ხელები, მომეცით იმდენი დრო და საშუალება, რომ... თავისუფლათ ამოვისუნთქო და აბა მაშინ ნახავთ.,. —ლუღლუღებ გაუბედავათ.

— ადე, ადე, აიკრიფე შენი გუდა-ნაბადი. შენისთანა თავისუფალი მოაზრე მოსამსახურე მე არა მჭირია. ვინ მუშა და ვინ მაგისთანა სიტყვები!—ღრიალებს უფროსი— კმაყოფილიც რო არ არის ეს წუწკი!... ლუკმა მივეცი, სამსახურში ავიყვანე და კიდეც რო ყბედობს!.. ადე, დაიკარგე-მეთქი აქედან!.. კიდევ ვინ არ არის კმაყოფილი თავისს ბედისა?—თვალების ბრიალით ეკითხება გაცოფებული უფროსი შენ ამხანაგებსაც.

— ღმერთმა გვიცოცხლოს შენი თავი, ჩვენო მწყალობელო... რა სათქმელია... თქვენის მეოხებით ვჭამთ ლუკმა პურსა.. რასა ბრძანებთ... ხავ-ხავებენ თავზარ დაცემულნი. თუმცა თითოეული მათგანი შენზე უარესს მდგომარეობაშია...

ამ სიტყვების გამგონეს თვალთ გიბნელდება... გულს გიკლავს ამხანაგების გაუტანლობა. საშინელ მარტოობასა გრძნობ და თავანკარი ჰკუა გეკარგება... ტიტველა ცოლ-შვილი გელანდება.., მოვალეები სამართალში მიცემას გიპირებენ, თავი გეჰრება ქვეყნათ.

— მეც კმაყოფილი ვარ თქვენი.— ელუღლუღები უფროსს—ღმერთის გულისათვის, მამა არ წამიწყდება... შვილები არ დამეხოცება... თქვენი ღვთის გულისათვის ნუ გამაუბედურებთ. აბა, სად წავიდე... ვის მივმართო?..—ელრიჯები უფროსს და მხათა ხარ ფეხებში ჩაუვარდე...

— ტო, ტო, ბრატეც! ფერე უნდა მოიხაროთ თითი ჩემ წინაშე, აი!.. კარგი, ჯერ-ჯერობით მიპატიებია,—ბურტყუნებს უფროსი მოწყალების კილოთი და კაბინეთისაკენ ბრუნდება.

შენც გულ-გახეთქილი ეჯუჯგები ისევ შენ მაგიდას და, გულ-გონება აფორიაქებულს, ვერ გაგიგია: მართლა შეებრალე უფროსს, თუ შენ იმისთვის საჭირო იყავი, როგორც იმის საქმეში უკვე დახელოვნებული, გამოცდილი...

გდიხარ მაგიდასთან ჩვარივით მობღუნძული და მწარე ფიქრები გბორკავენ. რა ხარ შენ? მონა, მონა ლუკმა პურისა, უბედური ბირუტყვი, რომელსაც თავის დაცვაც კი არ შეუძლიან! ჰფიქრობ და ჰფიქრობ, მარტოთ მარტო, შენი თავის ამარა. ვერავისათვის ვერა შეუჩივლიარა, ვერა გითქვამს-რა. იბღუნძები, იკუნთები ლოკოკინასავით და გაძაღლებულის სიცოცხლის მაინც მოყვარული შენი სული აკლდება შენის სხეულის სიღრმეში. ხმას აწყვეტინებ გონებასაც. არ გინდა თეთრი თვალით დაინახო და შავი—შავათ... გეშინია სამწერლო ნივთებსაც კი ყური არ ებას. სდუმხარ, როგორც სამარე და ხნეში, როგორც ულელში გაბმული ქედ-გადატყავებული ხარი.

—იხრათამც დარჩენილა ასეთი სიცოცხლე... დამეხმარენით!.., ყვირი შენ. პასუხათ მოისმის მაძღართა ხარხარი.

რა აცინებთ, თუ იცი?

შენი უმწეობა, შენი.. ყველაზე უფრო საზარელი—მარტოობა!..

ია გვახძე.

ბაგრა—აფხაზეთი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივნისს.

პეტერბურგი. დღეს გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობის სახელზე 14 ივნისს თარიღით: „13 ივნისს იაპონიის ჯარებმა სატევ მოქმედებას მიჰმართეს ჩვენი მოწინავე ჯარების წინააღმდეგ, რომელნიც იყვნენ ფენშუილინისა, მოდულინისა და დალინის უღელტეხილების წინ. ჩვენმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარების ნაწილებმა, რაკი იაპონელნი მოაწყვნენ, უკან დაიწიეს და გამოარკვიეს, რომ იაპონელნი სამი უღელტეხილის წინააღმდეგ ძრიელის ჯარით ჰოდიან წინ. დალინის უღელტეხილის წინააღმდეგ სხვა ჯარებს გარდა გამოგზავნილია გვარდიის დივიზიაც. ჩვენ პირდაპირ მოძრაობის გარდა, იაპონიის ძლიერმა ჯარმა შემოუარა ჩვენს ჯარებს, რომელთაც ფენშუილინისა და მოდულინის უღელტეხილები ეჭირათ. ჩვენ ჯარებს, რომელთაც ფენშუილინიდან ტიტხესკენ დაიწიეს, თავს დაესხა იაპონიის მცირე ჯარი, რომელიც ადვილად უკუ ვაქციეთ. დაახლოებით რა 13 ივნისს საღამოთი ჩვენი მოწინავე ჯარებს ვანდიაპუძიდან დალინის უღელტეხილისაკენ, იაპონელებმა 14 ივნისს განაგრძეს მოწოლა და წინ წევა ჩვენი პოზიციის წინააღმდეგ დალინის უღელტეხილთან. ჩვენმა მოწინავე ჯარებმა რამდენიმე ხანს შეუძლეს მოწოლის ბრიგადის სამის ბატარეიათა, რომელიც შუბლიდან წამოვიდა, მაგრამ რადგანაც სხვა იმათი ჯარები გარს გვევლოდნენ და საშიში გახდა შემოგრება, უკან დაიხიეს. დაზვერვამ აღმოაჩინა, რომ იაპონიის სამხრეთ ლაშქრის ნაწილი მოდის წინ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთად კუროკის ლაშქართან შესაერთებლად. შუადღისას მივიღეთ მოხსენება, რომ სენიუჩენთან ჩვენს ცხენოსანს ჯარს ცხარე ბრძოლა ჰქონია. როგორც სჩანს ამ უკანასკნელ დღეებში მიღებულ ცნობებიდან, იაპონელთა ჯარი, რომელიც მოიწევს მანჯურიის ლაშქრის წინააღმდეგ, იქნება 8 ანუ 9 დივიზია ქვეითა ჯარისა, რამდენიმე ბრიგადა სათადარიგო ჯარებისა, რომელნიც აგრეთვე წინ წამოაყენეს.

16 ივნისს.

ვიანცზი. («რეიტერის სააგ.»). მივიდა გენერალი მაკდონალდი მაშველი ჯარითა; ამას წინად იმას ცხარე ბრძოლა ჰქონდა მტერთან მონასტერ ნაინთან; ამ ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა ბრიტანიის ექსპედიციის ჯარებმა. ინგლისელების ზარალი: 5 მოუკლეს და ექვსი დაუჭრეს.

ტოკიო. მარშალი ოიამა და გენერალ-მაიორი კოდამა 28 ივნისს მიდიან მანჯურიას.

ტოკიო (ვოლფის სააგ.). ოფიციალურად. დაგუშნის ლაშქარმა ექვსი საათის მკაცრი ბრძოლის შემდეგ დაიჭირა ფენშუილინი. მტერმა ტამხაჩენისაკენ დაიწია. იაპონელთ 100 კაცამდე დაუზარალდათ.

ბერლინი. («ვოლფის სააგ.»). საზღვარ გარეთ გაზეთებში გავრცელებული ხმა იმის შესახებ, რომ გერმანია თავის ესკადრას აძლიერებს შორეულს აღმოსავლეთში, უსაფუძვლოა.

კრუშევაცი. დასდევს ძეგლი იმ მხედართა პატივსაცემად, რომელნიც 1389 წ. მოსწყდნენ კოსოვის ველზე. დღესასწაულს ესწრო მეფე პეტრე და მთავრობის ...ნი.

სტამბოლი. რედიფთა 3 ბატალიონმა დაიჭირა ტელეგრაფის კანტორა პრიზრენში და განაცხადა, არ დავანებებთ თავს იქამდე, ვინემ ბრძანება არ გამოვა, რომ ჩვენ სათადარიგო ჯარში ჩავირიცხენითო. ხმა იმის, რედიფთა ბატალიონები დიაკოვოში აპირებენ იმათთან შეერთებას. ამ ჯარების დათხოვნა შეიძლება დააჩქარონ. ამ დემონსტრაციების გამო სამხედრო პირნი ურჩევენ ბატალიონები არ დაითხოვონ, რომ დისციპლინა არ დაეცეს.

ჰამბურგი. მოვიდა მეფე ედუარდი, ვაგზალზე შეეგება ბურგომისტრი და სენატორები, ნახა ნავსადგური და წავიდა ბირჟისკენ. სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა უმაღ...ში სტუმრის სადღეგრძელო დალია, მე... გულწრფელი მადლობა გადაუხადა მხია... ...ილებისათვის, შემდეგ წავიდა საუზმის მისართმევად, რომელიც სენატორებმა გაუმართეს. ბურგომისტრმა მადლობა გაუცხადა მეფეს ჰამბურგის ნახვის გამო, შემდეგ ორატორმა აღნიშნა ის მრავალგვარი კავშირი, რომელიც აერთებს ჰამბურგს დიდ ბრიტანიასთან. მეფემ პასუხი გასცა ნემეცურ ენაზე, ვრცელ სიტყვით მადლობა გადაუხადა დახვედრისათვის და ადღეგრძელა ჰამბურგის სენატი. საუზმის შემდეგ მეფე კილს წავიდა.

პორტ-დე-ფრანსი. საფრანგეთის კრეისერი კუნძულ გაიტასაკენ წავიდა.

ბერლინი. კუნძულ გაიტასაკენ გაგზავნილი გერმანიის სამხედრო გემი ამ ცოტახანს მიუვა პორტ-პრენსსა.

პეტერბურგი. «მართებლობის მოამბეში» დაბეჭდილია ახალი უმაღლესად დამტკიცებული 17 მაისს 1904 წელს წესდებანი ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ქალთაგან სხვა და სხვა თანამდებობის ადგილზე გამწესების შესახებ.

ლიაოიანი. გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა ლაშქარში შემდეგი განკარგულება მოახდინა: «უკეთუ იაპონელებთან ბრძოლის დროს ხელთ ჩაგვივარდებიან მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვე იაპონელნი, ვითხოვ სრულის პატივისცემითა მოეპყრათ მამაც მტერსა; მიცვალებულთ აღმოუჩინოთ სამხედრო პატივისცემა, დაჭრილთ გაუწიოთ იგივე მზრუნველობა, როგორც ჩვენებსა». ეს განკარგულება სარდლისა იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ იაპონელნი საუცხოვოდ ეპყრობიან ჩვენს დაჭრილებსა იაპონიის საავადმყოფოებში. სამწუხაროდ, ამ ბოლო ჟამს ამბები მოდის, ვითომ იაპონელნი მხეცურად ეპყრობიან და მკაცრად სტანჯავენ დაჭრილს რუსებსა ზოგიერთ იაპონელთა რაზმებში. «სალაშქრო მოამბე», იტყობინება, რომ 27 მაისს საიმაძში იაპონელებმა ყელი გამოსჭრეს ორს მსროლელსა. გვამები მათი დამახინჯებული ნახეს. გადარჩენილნი მსროლელნი ამბობენ, იაპონელ ჯარის კაცთა შორის იყვნენ შეიარაღებულნი ჩინეთის ჯარის კაცნი, რომელთაც, მოსალოდნელია, ის ორი მსროლელნი აწამეს. «სალაშქრო მოამბე» სწერს, ამ რამდენისამე თვეის წინად იაპონელებმა ისე მოგვ... სცენეს თავი, რომ იმათ ესმოდათ კანონები სამხედრო პატიოსნების და ლმობიერებისა, მაგრამ ამ ბოლო ჟამს ამბები მოდის იაპონელთა ბარბაროსულის მიდრეკილების შესახებ ამ რიგად ნაჭები სწრაფვა იაპონელთა ევროპიულ განათლებისა და ლმობიერებისადმი დიდს ეჭვს ქვეშაა. იაპონიის ჯარის-კაცნი, რომელთაც აფიცრები არ აწყნარებენ, თავისის სიმკაცრით არაფრით არ განირჩევიან აზიის ძველ ბარბაროსთაგან. იაპონიის ერი არ არის საკმაოდ ზრდილი და დაიჭერს ადგილს დასავლეთის განათლებულ ერთა შორის.—ლაშქარის მხედართ-მთავარმა უბოძა გიორგის ჯვარი მესამე ხარისხისა პრიმორსკის პოლკის დრაგუნს ვოლკოვს, რომელმაც ჩინური ტანისამოსი ჩაიცვა, ხელ-მეორედ დაბრუნდა იქ, საცა იაპონელები იყვნენ და შეეფეთა იაპონელ 13 მხედრავს. მხედრავებმა დაუწყეს გამოკითხვა ვოლკოვს, რამდენი ჯარი ჰყავთ რუსებს და სად არიან დაბანაკებულნიო. რაკი ეჭვი შეეპარათ დაუწყეს გაჩხრეკა. ამ დროს ვოლკოვმა იძრო რევოლვერი, მოჰკლა რამდენიმე კაცი, და მოახტა იაპონელ კავალერისტის ცხენს და გაჰქუსლა. ჩინელნი იუწყებიან, რომ ვაფანგოუს ბრძოლაში იაპონელთა მარჯვენა ფრთოდს მეტად დიდი ზარალი მიეცაო, თავ ტყვია-წამალი ჰქონდა, სულ დახარჯა, მიატოვა ეტლ-ურმები და თავ ზარ-დაცემული იწევდა უკანა. იაპონელნი კვლავ ისეთს ყუმბარებს ხმარობენ, რომელიც, როცა სკდება, მომშხამველ გაზებს ავრცელებს, რაიცა აღკრძალულია საერთაშორისო მორიგებითაო.

მუკდენი. ამ ბოლოს დროს ხუნხუზების ბრბოებმა გაბედვით დაიწყეს თარეში რკინის გზის აყოლ-დაყოლებაზედ, მაგრამ მოსამზღვრე დარაჯთა წყალობით, იმათს თარეშობას ზარალი არა მოაქვსრა. ხუნხუზნი ყველგან მარცხდებიან.—„ფორშე ცეიტუნგის“ კორესპონდენტი იუწყება ჩიფუს გზით, რომ იაპონიის ლაშქრის მთავარ-სადგურში კვლავ ელიან რუსთა თავ-დასხმასაო.

ვინზანი. პატარ-პატარა რაზმნი აწუხებენ მიდამოებს ხამხინსა და გენზანს შორის, ამიტომ იაპონელებმა გახიზნეს ცოლ-შვილნი უვნებელ ადგილებში დასავლეთის ნაპირებად.

სახალინი. სახალინზედ მშვიდობიანობაა.

დროებით რედაქტორი **ზრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

სთხოვს ეტლებისა და სხვა მსუბუქ სამგზავროების პატრონთ მოვიდნენ ქალაქის გამგეობაში ხუთშაბათს, 17 ივნისს, საღამოს 5 საათზედ, ბლიახებით ანუ მეეტლეთა სავალდებულოა დადგენილებათა წიგნებით სტაროსტისა და მის კანდიდატის ამოსარჩევად. ამ თანამდებობაზედ მყოფნი სტაროსტა ჟაბინი და მისი კანდიდატი რემიზოვი დათხოვნილ იქმნენ ამ თანამდებობიდან. (3—5—3).

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მთის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

იყიდება

პროგუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელ ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **ბრიგოლ კორინთელთან.** (5—5).

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და მშვიდებული იყვეთ **იყიდეთ.** მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვევველი აპარატი **„ინდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დღე-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ინდოლიანსი“** აძნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც, რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ინდოლიანსი“** გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც, თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელიც სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„ინდოლიანსი“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა ავარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომებისა გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთი. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მიითხოვონ ამ ადრესით: **Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.**

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.
(5—5—)

საუკეთესო სააგარაკო ადგილები
ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის; სხვა და სხვა ზომისა,

იყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—9)

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

ვთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს.

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—4).

Дозволено цензурою Тифлисъ 16 iюня 1904 г. Тип Е. И. Хеладзе. Русск. базаръ. домъ арм. семинар